ხელშეკრულება მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №51

ქ. თბილისი 10 მარტი 2017 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი უფროსის ელენე ლუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, სს „სმარტ პროდაქშენ" (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №103, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გირმისაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, 2017 წლის 12 მარტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში გასამართ ღონისძიებასთან დაკავშირებით მოწვეული 40 სტუმრის ფურშეტით გამასპინძლების მომსახურების (იხ. დანართი №1) სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 შესყიდვის ობიექტია: სტუმრების გამასპინძლების მომსახურება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 799 000 00; 799 920 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 გაწეული მომსახურების ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 908.75 (ცხრაასრვა) ლარს და 75 თეთრს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან) ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება: 2016 წლის 12 მარტს.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მომსახურების ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან ხარისხიანი შემოწმების შედეგად, რომელიც უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს მომსახურების მიღებიდან 3 (სამი) საათის განმავლობაში, გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია 4.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, წერილობითი სახით აცნობოს „მიმწოდებელს" ხარისხიანი შემოწმების შედეგები

დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაო ჩაითვლება უნაკლოდ შესრულებულად.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს უფროსის (გ.გვენეტაძე) დასკვნის საფუძველზე განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განყოფილების უფროსი (დ.მაჭავარიანი).

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების გაწევის შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.6 მხარეები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ ამ ხელშეკრულების 8.5 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და ის არ წამოადგენს მათ ვალდებულებას.
8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და ხალხური მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9..2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა – ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან ანხორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განყოფილების თანამშრომლები.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაფორმალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ ხადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშუალოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 01 მაისის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ცნებების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

სს „სმარტ პროდაქშენ"
მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№74
სს „ბაზის ბანკი"
ბ/კოდი: CBASGE22
ა/ა GE 66 BS 0000 0000 9003 6509
ს/კ 405 175 929

გიორგი [illegible]

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	1 ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
	[illegible]			
1	მინი ეკლერი (საფურშეტე)	20	0.70	14.00
2	მინი შუ (საფურშეტე)	20	0.70	14.00
3	დენიში მოკოლადით და ალუბლით (საფურშეტე)	20	1.00	20.00
4	დესერტი "Cherry" სამარხვო	20	1.50	30.00
5	ფრანგული კრუასანი კრემით სამარხვო	20	1.00	20.00
6	ფრანგული კრუასანი შოკოლადით	20	1.00	20.00
7	ქართული ნუკბარის ასორტი	1	60.00	60.00
	ჯამი			**178.00**
	[illegible]			
1	წყალი	20	0.40	8.00
2	ჩაი/ყავა/შაქარი	40	2.00	80.00
				88.00
	ხელსახოცი	1	2.75	2.75
	[illegible]			
1	მაგიდა	2	20.00	40.00
2	სუფრა	2	20.00	40.00
3	ჩაიდანი	1	20.00	20.00
4	სადგამი	5	10.00	50.00
5	თეფში	40	0.50	20.00
6	ჩაი/ყავის ჭიქა	40	0.50	20.00
7	კოქტეილის მაგიდა	4	60.00	240.00
8	მომსახურე პერსონალი	2	60.00	120.00
9	დამხმარე	1	40.00	40.00
10	ტრანსპორტირება	1	50.00	50.00
	ჯამი			**640.00**
	სულ ჯამური დღღებულება			**908.75**

შემსყიდველი

აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი

ს.ს. „სმარტ პროდაქშენის"

დირექტორი

[illegible]